

## შავ ზღვაზე გარემოს დაცვის მონიტორინგის გაუმჯობესება (EMBLAS-Plus)

*კახაბერ ბილაშვილი<sup>1,3</sup>, ვახტანგ გვახარია<sup>2</sup>, ნინო მაჩიტაძე<sup>3</sup>, ვაჟა ტრაპაიძე<sup>1,3</sup>,  
ნინო გელაშვილი<sup>2</sup>, ინესა კუზანოვა<sup>3</sup>*

*ელ.ფოსტა: [kakhaber.bilashvili@tsu.ge](mailto:kakhaber.bilashvili@tsu.ge)*

*<sup>1</sup>გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი*

*<sup>2</sup>სამეცნიერო-კვლევითი ფირმა „გამა“, გურამიშვილის გამზირი 17ა, 0192 თბილისი*

*<sup>3</sup>ოკეანოგრაფიისა და ჰიდროლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი*

ევროკომისიის და გაეროს განვითარების პროგრამის (EC/UNDP) ერთობლივი პროექტის EMBLAS-Plus - ის მთავარი მიზანია EMBLAS-1/2 პროექტების ფარგლებში შემუშავებული ახალი მეთოდოლოგიის დანერგვა, რაც ითვალისწინებს პროექტის ყველა მონაწილისათვის საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივის (MSFD) პრინციპებისა და მეთოდოლოგიების საფუძველზე ზღვის ეკოსისტემის მდგომარეობის შეფასებას. პირველი და მეორე ფაზის დროს ჩატარდა მნიშვნელოვანი სამუშაოები მონიტორინგის ახალი მეთოდების შესამოწმებლად და ეროვნული მონიტორინგის პროგრამების ანალოგიურ ევროპულ მეთოდოლოგიებთან შესაბამისობის შესაფასებლად. დღის წესრიგში დადგა ზუსტი და საიმედო საზღვაო მონაცემების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, რაც ითვალისწინებს მონიტორინგის გლობალური პროგრამების ანალოგიურად, შავი ზღვის გარემოს მონიტორინგის პერმანენტულ გაგრძელებას. შესაბამისად, 2019 წელს ჩატარდა ორი ექსპედიცია საზღვაო მყარი ნარჩენების (დისკრიპტორი 10 - მარინლიტერი) შესაფასებლად ბათუმის, ქობულეთის, ურეკის, ფოთისა და ყულევის აკვატორიებში (სანაპირო ზოლიდან 400 მეტრში); ასევე, ოთხი ძირითადი მდინარის - რიონის, სუფსას, ნატანების და ჭოროხის შესართავების მონიტორინგი. მასალების წინასწარი დამუშავების შედეგად მოხდა ნარჩენების კატეგორიზაცია და „ცხელი წერტილების“ გამოვლენა. ასევე, ქალაქ ფოთში ჩატარდა უორქშოფი დაინტერესებულ მხარეების მონაწილეობით, რომელთაც მიეწოდა დეტალური ინფორმაცია მიმდინარე საზღვაო კვლევების შესახებ.